KA030119524861316

№ 01-13019 11 / ივლისი / 2016 წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს
ბატონ ვალერი კვარაცხელიას

შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის,
დასაქმების ხელშეწყობის სამმართველოს
უფროსის დავით ივანიძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ვალერი,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 26 ივნისიდან 1 ივლისის ჩათვლით პოლონეთის რესპუბლიკის ოჯახის, შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს ორგანიზებით ქ. ვარშავაში ჩატარდა სასწავლო კურსი თემაზე: „შშმ პირთა მხარდაჭერის სისტემა ადგილობრივ დონეზე“. აღნიშნულ ღონისძიებაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან მონაწილეობას იღებდა შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის დასაქმების ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი - დავით ივანიძე, შრომითი ურთიერთობებისა და სოციალური პარტნიორობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი-ირმა გელაშვილი და შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი-ირაკლი არაბიძე.

სასწავლო კურსი მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: პოლონეთის რესპუბლიკაში შშმ პირთა მხარდაჭერა და ადგილობრივი თვითმმართველობის როლი, შშმ პირთა სოციალური რეაბილიტაციის მხარდაჭერის საშუალებები, პოლონეთის რესპუბლიკის დასაქმების საჯარო სამსახურების სისტემა, შშმ პირთა პროფესიული რეაბილიტაცია და დასაქმება.

განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ამ სფეროში არსებულ პოლონეთის რესპუბლიკის კანონმდებლობის გაცნობაზე, ადგილობრივი თვითმმართველობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების როლზე და პროფესიული რეაბილიტაციის ცენტრების საქმიანობაზე.

ყურადღება გამახვილდა პოლონეთის შრომის ბაზრის პოლიტიკაზე, დაფინანსების წყაროებზე და შშმ პირების რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდის საქმიანობაზე, შშმ პირების პროფესიული აქტივობების ზრდაზე, მათ დასაქმებაზე ღია შრომით ბაზარზე და დასაქმების სააგენტოების როლზე, შშმ პირების მხარდაჭერის ფორმებზე და საშუალებებზე, როგორიცაა ტრენინგები, სტაჟირება, საზოგადოებრივი სამუშაოები და სხვ., ასევე დამსაქმებლების უფლებებსა და ვალდებულებებზე შშმ პირთა დასაქმების შემთხვევაში, მეწარმე შშმ პირების (მცირე ბიზნესით ან სოფლის მეურნეობით დაკავებული პირები) დაფინანსებასა და შეღავათებზე.

განსაკუთრებით საინტერსო აღმოჩნდა შშმ პირების შრომითი თერაპიის საკითხები, რომლის მიზანს წარმოადგენს შშმ პირთა სოციალური რეაბილიტაცია და პროფესიული აქტივობის ზრდა სამუშაოს დაწყებისთვის, რათა მათ შეიძინონ და განავითარონ აუცილებელი უნარები შრომითი საქმიანობის დასაწყებად.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო არასამთავრობო სექტორის როლისა და მათი საქმიანობის სპეციფიკის გაცნობა შშმ პირების პროფესიული რეაბილიტაციის თვალსაზრისით.

არსებული პრაქტიკის გაზიარების მიზნით, განხორციელდა ვიზიტები ქ. ვარშავის დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს შშმ პირთა მომსახურების განყოფილებაში, ქ. სლუფცის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში, დასაქმების სააგენტოში, შრომითი თერაპიის სახელოსნოში, პროფესიული რეაბილიტაციის ცენტრში და დაცულ საწარმოში, სადაც წარმოდგენილი იყო ამ ორგანიზაციების საქმიანობის სპეციფიკა, მიღწევები და არსებული პრობლემები;

ვიზიტი მთლიანობაში მნიშვნელოვანი იყო გამომდინარე იქიდან, რომ მოხდა, ერთის მხრივ, არსებული კანონმდებლობის გაცნობა და შეფასება და, მეორეს მხრივ, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება, რაც დაგვეხმარება ამ მიმართულებით დაგეგმილი ამოცანების განხორციელებისას.

პატივისცემით,

დასაქმების ხელშეწყობის სამმართველოს
უფროსი

დავითი ივანიძე